მომსახურების მიღების ოპერაცია ხორცილდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია ხელშეკრულება) ან/და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია კანონმდებლობა). ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურებით ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებშიც ხდება მომსახურების მიღება. თუ შეუძლებელია მომსახურების მიღების ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება, ხარჯი არ აღიარდება. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით განსაზღვრული ხარჯები აღიარდება - მომსახურების მიღებისას, საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური მარაგების გამოყენებისას, აქტივების უსასყიდლოდ სხვაზე გადაცემისას, და აქტივების ღირებულების შემცირებისას (ძირითადი კაპიტალის მოხმარება), გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად. გაცვლითი ოპერაციებით ხარჯებია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ხარჯები; სხვა დანარჩენი მუხლები ძირითადად არაგაცვლით ოპერაციებს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის მიერ არაგაცვლითი ოპერაციით, კონტროლირებული ერთეულებისთვის უსასყიდლო მომსახურების მიწოდების ხარჯები არ აღიარდება ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით - გრანტის ხარჯად, თანახმად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით და სსბასს 23-ით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების (თუ მავალდებულებელი მოვლენის დადგომა ხარჯვითი ოპერაციის შედეგი არ არის; საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვები საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ შემოსავლების გამოყენებასთან დაკავშირებით) დასაფარად და მესამე პირების სახელით ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხის გადარიცხვა არ განიხილება ხარჯის ოპერაციად.

მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს სსბასს კრიტერიუმების პრაქტიკაში გამოყენების მითითებებს და გაცვლითი და არა გაცვლითი ოპერაციით ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკულ გამოცდილებას და ბუღალტრულ აღრიცხვაზე მომუშავეთა უნარ - ჩვევებს.

მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ხარჯების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შიდა წესები და პირობები უზრუნველყოფილია ხარჯის თითოეული სამეურნეო ოპერაციის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის გარე და შიდა დოკუმენტებით დადასტურებით. შენიშვნაში წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში დარიცხული ხარჯების მოცულობაზე ინფორმაცია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით და ასევე წინა საანგარიშო პერიოდის შესადარი ინფორმაცია.

საბიუჯეტო კლასიფიკაციით მუხლით განსაზღვრული **შრომის ანაზღაურება** - არის მომსახურების ხარჯი გაცვლითი ოპერაციის შედეგად. მომსახურების მიღება ხდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით. ხარჯი აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის დადგომისას. მავალდებულებელი მოვლენა არის კანონმდებლობით განსაზღვრული იურიდიული ვალდებულება. მავალდებულებელი მოვლენის დადგომა დასტურდება

დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ფორმით, კომპენსაციების გაცემის ვალდებულების წარმოქმნით. ხარჯის აღიარება ხდება ვალდებულების ვადის დადგომის დროს. სასაქონლო ფორმით კომპენსაციების გაცემის შემთხვევებს აღილი არ აქვს და აღრიცხვის წესები არ არის განსაზღვრული.

საქონელი და მომსახურება საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, ამ ხარჯების ჯგუფი მოიცავს საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელიც გამოიყენება საბაზრო და არასაბაზრო ფასად საქონლისა და მომსახურების გასაწევად (მათ შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის უსასყიდლოდ მიწოდების მიზნით). ხარჯები იყოფა ქვეჯგუფებად:

ა. მომსახურების მიღება;

ბ. საქონლის გამოყენება, გარდა იმ საქონლისა, რომელიც ნაწილდება უცვლელი სახით ბენეფიციარებზე. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური ხარჯების და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უწყვეტი მომსახურების ხარჯის აღიარების დროს მუნიციპალიტეტი იყენებს დარიცხვის მეთოდიდან გადახრაზე ინსტრუქციით განსაზღვრულ გამონაკლისებს. მუნიციპალიტეტის მიერ უსასყიდლოდ მიღებული მომსახურება აღიარდება არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად შემოსავლის სახით იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების საიმედოდ შეფასება არ საჭიროებს ფასიანი ექსპერტული შეფასების მომსახურების შესყიდვას, ხარჯ-სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად.

ხარჯების ამ ჯგუფში არ აღირიცხება ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯები.

სუბსიდიები და გრანტები - საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, წარმოადგენენ არაგაცვლითი ოპერაციით ხარჯებს. ხარჯის გაწევის პირობები შესაძლებელია გამომდინარეობდეს კანონმდებლობის ნორმებიდან, ან სახელშეკრულებო პირობებიდან. სსბასს 23 თანახმად, ორივე შემთხვევაში საფუძვლები განიხილება იურიდიულად ქმედით შეთანხმებად, მიუხედავად იმისა შეთანხმება წერილობითია თუ არა. ორივე შემთხვევაში მავალდებულებელი მოვლენა წარმოადგენს იურიდიულ ვალდებულებას. თუ „შეთანხმება პირობით“ არის და პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმღებს წარმოეშობა ეკონომიკური სარგებლის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნების ვალდებულება, მუნიციპალიტეტი ვალდებულების შესრულების მიზნით საკასო ოპერაციებს (გადახდა) ახორციელებს ავანსად (წინასწარი), და აღიარებს მოთხოვნებს (ფინანსურ აქტის) დებიტორული დავალიანების სახით. სუბსიდიის/გრანტის ხარჯის აღიარება ხდება პირობის შესრულების თაობაზე მიმღების მიერ მუნიციპალიტეტისთვის ანგარიშის დადგენილი ფორმით ავანსად მიღებული სუბსიდიის/გრანტის თანხების გამოყენების შესახებ, წარმოდგენის შემთხვევაში. თუ დასტურდება შეთანხმების პირობის შესრულება და თანხის მიზნობრივი გამოყენება. ხარჯი მიეკუთვნება ანგარიშის შედგენის საანგარიშგებო პერიოდს. ანგარიშის წარმოდგენის ვადები განისაზღვრება შეთანხმებით, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინაში დამოწმების ვადის დადგენის საფუძველს. ვადის დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე თანხის მიმღებს ეცნობება წერილობით (თუ შეთანხმება წერილობითი სახით არ არის) ან შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვრება. დამოწმების ვადის გაგრძელებაზე, ხაზინას მუნიციპალიტეტი მიმართავს თანხის მიმღების მიერ ვადაგადცილების მიზეზებზე წერილობითი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში. ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ხარჯის აღიარების შემდეგ დამოწმების საფუძველად განთავსდება ანგარიშის ფორმის ელექტრონული ვერსია. იმ შემთხვევაში, როცა სუბსიდიის/გრანტის გაცემის საფუძველია სსბასს 23 თანახმად „შეთანხმება შეზღუდვით“, ხარჯი აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის დადგომისთანავე და ვალდებულების შესრულების მიზნით ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საკასო ოპერაციები (გადახდები) განხორციელდება სტანდარტულად. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის გაცემის

მავალდებულებელი მოვლენის დადგომის საფუძველია კონსტრუქციული მოვალეობა, სამეურნეო ოპერაცია აღირიცხება სსბას 19 შესაბამისად განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკით.

სუბსიდიების კატეგორია აერთიანებს სახელმწიფო საწარმოებზე, კერძო საწარმოებზე და სხვა სექტორებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერებს.

გრანტების კატეგორია მოიცავს უცხო ქვეყნების მთავრობებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე და სახელმწიფო ერთეულებზე გაცემულ გრანტებს როგორც მიმდინარე, ისე, კაპიტალური სახით, ფულადი და სასაქონლო ფორმით. ამასთან, კონსოლიდაციის მიზნებისათვის კონტროლირებულ ერთეულებზე გაცემული გრანტები არის ელიმინირებული.

სასაქონლო ფორმით სუბსიდიის და გრანტის ხარჯის აღრიცხვა ისეთივე წესით ხდება, როგორც ფულადი ფორმით.

ცვეთის ხარჯი აერთიანებს ცვეთადი აქტივების (ძირითადი აქტივების და საოპერაციო იჯარით აღებული აქტივების არსებითი გაუმჯობესების) ცვეთადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს არამატერიალური აქტივების ამორტიზირებადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

გაუფასურების ხარჯების კატეგორია აერთიანებს ძირითადი აქტივების, არამატერიალური აქტივების ფარგლებში მიღებული აქტივების და სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯებს.

სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით სოციალური დახმარება, რაც ნიშნავს საზოგადოების ცალკეული პირებისა და ჯგუფების კონკრეტული საჭიროების დასაკმაყოფილებლად ფინანსურ დახმარებას, რათა მათ მიერ ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა, აღიარდება ხარჯად, როცა მიიღება გადაწყვეტილება დახმარების გაცემაზე. ხარჯის საიმედოდ შეფასების კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, ხოლო სსბასს მიხედვით ვალდებულების აღიარების საფუძველია მავალდებულებელი მოვლენის დადგომა - დადასტურდა, რომ პირი ან ჯგუფი აკმაყოფილებს დახმარების მიღების კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. სასაქონლო ფორმით სოციალური დახმარება, როცა ხდება საზოგადოების უზრუნველყოფა ჯანდაცვის, განათლების, განსახლების, სატრანსპორტო და სხვა სოციალური მომსახურებით და ამ მომსახურებათა მომხმარებლებს არ მოეთხოვებათ აღნიშნული მომსახურების ღირებულების ეკვივალენტური თანხის გადახდა, ხარჯი აღიარდება იმავე წესებით და პირობებით, როგორც ფულადი ფორმით სოციალური დახმარების შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მავალდებულებელი მოვლენის დადგომის დადასტურება მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნა თუ განსაზღვრულია მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხარჯი და ვალდებულება აღიარდება დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში და მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როცა პირმა მიიღო მომსახურება. როცა ხდება საზოგადოების უზრუნველყოფა აქტივებით (მატერიალური მარაგები, ძირითადი აქტივები და სხვ.) ხარჯი აღიარდება იმავე წესებით, როგორც ფულადი ფორმით სოციალური დახმარების შემთხვევაში. არ ხდება მარაგების აღიარება და ხარჯის აღიარება ხდება სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე, სანაცვლოდ შესაბამისი საფასურის გარეშე გაცემული საგარანტიო წერილები სოციალური დახმარების მიღებაზე, აღირიცხება საცნობარო ანგარიშზე, როგორც გარანტიები სოციალურ დახმარებებზე და არ განისაზღვრება

როგორც პირობითი ვალდებულება სსბას 19 თანახმად. მუნიციპალიტეტი სოციალურ დახმარებებზე ანარიცხებს არ ქმნის.

კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მუნიციპალიტეტის მიერ საოჯახო მეურნეობებისთვის სოციალური დახმარების ფორმით გაწეული დახმარება, შინაარსის ფორმაზე უპირატესობის პრინციპით, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, აღიარდება როგორც ტრანსფერების ხარჯი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული.

სხვა ხარჯების სხვადასხვა კატეგორიები, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, წარმოადგენენ გაცვლით და არა გაცვლით ოპერაციებს. გაცვლითი ოპერაციების შემთხვევაში აღრიცხვის წესები განსაზღვრულია „საქონლის და მომსახურების“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ხოლო არაგაცვლითი ოპერაციების შემთხვევაში - „სოციალური მომსახურება/სუბსიდია/გრანტი“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შემთხვევაში, ორგანიზაცია დაკისრებული ვალდებულების შესაბამის ხარჯს აღიარებს ხარჯის იმ კატეგორიაში, რომელიც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შეესაბამება ეკონომიკურ შინაარსს, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულების მიზნით იძულების წესით საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხები, სახაზინო სამსახურის მიერ აისახება სხვა ხარჯების კატეგორიაში, ხოლო სასამართლოს სააღსრულებო ხარჯები აღიარდება სხვა ხარჯების სახით. ხარჯის აღიარების საფუძველია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება, რაც ადასტურებს მავალდეულებელი მოვლენის დადგომას, რაც იწვევს კრედიტორული დავალიანების წარმოქმნას. სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ანარიცხების და პირობითი ვალდებულების აღრიცხვის წესები განსაზღვრულია სსბას 19 შესაბამისად ჩამოყალიბებული სააღრიცხვო პოლიტიკით.

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა, რენტის ხარჯებს. გარე ტრანსფერებით ხარჯების კატეგორია მოიცავს მიმდინარე, და კაპიტალურ ტრანსფერებს ფიზიკურ პირებზე კერძო არამომგებიან ორგანიზაციებზე, არასამთავრობო ფონდებზე და სხვ. როგორც ფულადი, ასევე, სასაქონლო სახით.

არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული დეფიციტი მოიცავს არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით მიღებულ ზარალს.

ფინანსური ხარჯები მოიცავს პროცენტის სახით გადახდილ თანხებს სესხებისათვის..

შიდა ტრანსფერებით ხარჯები მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებული ერთეულების დაფინანსების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც ელიმინირდება კონსოლიდირებული პრინციპების გათვალისწინებით. აქ აისახება ასევე შიდა ტრანსფერებით ისეთი ხარჯები, რაც უკავშირდება მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით ბიუჯეტის მიმართ ვალდებულების წარმოქმნას.

შენიშვნა #18 ასახული სხვადასხვა ხარჯების კატეგორია აერთიანებს კურსთა სხვაობის შედეგად ფლობიდან წარმოქმნილ ზარალს, ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალს, საექვო/უიმედო დეპოზიტორული დავალიანებების ხარჯებს, მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების ხარჯებს და სხვადასხვა ხარჯებს.

შენიშვნა N19 ფულადი სახსრები გადასახადებიდან - ასახულია ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებლები გადასახადების მიღებაზე სახეების მიხედვით.

ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეკრება (შედარება) შენიშვნა 21-თან დაკავშირებით ინფორმაცია

ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგება მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით მზადდება და მოიცავს ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, რომელშიც ბიუჯეტის „გეგმური“ და „ფაქტობრივი“ მონაცემები წარმოდგენილია საკასო მეთოდის შესაბამისად.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების წარმოდგენილია ა მრავალსვეტიანი ფორმატის სახით, სადაც შემოსულობების და გადასახდელების თითოეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკეა მითითებული დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი, დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულება და ფაქტობრივი შესრულების პროცენტული მაჩვენებელი.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მზადდება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებთან დაკავშირებით. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიზნებისათვის, დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს საბიუჯეტო წლის მანძილზე მოსალოდნელ საბიუჯეტო შემოსულობებს და გადასახდელებს, რომლებიც დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. საბოლოო (დაზუსტებული) ბიუჯეტი მოიცავს საბიუჯეტო პერიოდში პროგრამების დასაფინანსებლად თავდაპირველად გამოყოფილი თანხების ყველა ნებადართულ ცვლილებას ან შესწორებას. ფინანსური ანგარიშგების ფულადი სახსრების ნაკადების მაჩვენებელი შეჩერებულია ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებთან საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების და სსბასს პირობების შესაბამისად და განსხვავებები არ იკვეთება.

შენიშვნა 22 – სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიები

ანგარიშგების შენიშვნაში ასახულია აისახება სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივები, აღებული ვალდებულებები, მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები, რომელთა შეფასებისთვის გამოყენებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები (ხარჯის და აქტივების კატეგორიების ეკონომიკური შინაარსი) და ხვედრითი წილი საბიუჯეტო შემოსავლებს/ხარჯებს და არასაბიუჯეტო (საკუთარი) შემოსავლებს/ხარჯებს შორის, ასევე ოფისის მიზნებისთვის არსებული აქტივების ღირებულებითი მოცულობის მაჩვენებელი აქტივების მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში.

მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში გამოუყენებელ სსბასს თაობაზე ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა მოიცავს საჯარო სექტორის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე (IPSAS) მუნიციპალიტეტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წესებს და პირობებს. შიდა პოლიტიკით არ არის განსაზღვრული საინვესტიციო ქონების და შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღრიცხვის წესები და პირობები. საინვესტიციო ქონების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება სსბასს 16-ის - „საინვესტიციო ქონება“ - შესაბამისად. საინვესტიციო ქონებად მოიაზრება ისეთი უძრავი ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელიც გამიზნულია შემოსავლების მისაღებად იჯარით გაცემის გზით ან კაპიტალის ღირებულების ნაზრდის მისაღებად. საინვესტიციო ქონების აღიარება აქტივად ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა. მოსალოდნელია, რომ ერთეული მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებულ სასარგებლო მომსახურების პოტენციალს; და

ბ. შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების ან სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან წარმოადგენს ერთეულის მიერ შექმნილ აქტივს, ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ საინვესტიციო ქონების შეძენა ხდება არაგაცვლითი ოპერაციის გზით.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასება თუ ხდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად მცირდება ცვეთის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის შესაბამისად, აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების გზით.

შელავათიანი მომსახურების აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვას განსაზღვრავს **სსბასს 32 - „შელავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი“**. შელავათიანი მომსახურების ხელშეკრულებების აქტივების აღიარება ხდება მთავრობის აქტივების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ ამ აქტივების შენება ეტაპობრივად მიმდინარეობს, მთავრობა მათ აღიარებს დაუმთავრებელი მშენებლობის სახით, თვითღირებულებით. ამავე დროს ხდება იგივე ღირებულების ფინანსური ვალდებულების აღიარებაც. როცა აქტივების მშენებლობა სრულდება, მათი მთლიანი თვითღირებულება და შესაბამისი ფინანსური ვალდებულება ასახავს იმ სამომავლო ანაზღაურების ღირებულებას, რომელიც აქტივების სანაცვლოდ კერძო სექტორიდან წარმოდგენილ პარტნიორს უნდა გადაეცეს.

შელავათიანი მომსახურების ვალდებულებების აღიარება შელავათიანი მომსახურების აქტივების აღიარების დროს ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აქტივი მთავრობის უკვე არსებული აქტივია. შელავათიანი მომსახურების ვალდებულების აღიარება თავდაპირველად იმავე თანხით ხდება, რითაც

შელავათიანი მომსახურების აქტივის. შელავათიანი მომსახურების აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

სსბასს 16 მოთხოვნებს აკმაყოფილებს თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებებით გაცემული ძირითადი აქტივები, და ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის მოთხოვნები, მუნიციპალიტეტის ქონების მართვის თაობაზე, შეესაბამება თუ არა სსბასს განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ანგარიშგების თარიღისთვის არ არის შეფასებული და გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე იგეგმება შეფასება და შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრა. ასევე განისაზღვრება სსბასს 32 გამოყენების აუცილებლობა, მუნიციპალიტეტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1	ანგარიშგაღებულ ერთულს (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
2	ანგარიშგაღებულ ერთულს საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	თეთრიწყარო თამარ მეფის ქ. 34 599-95-47-05 safinanso11@yahoo.com
3	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	230869254
	ორგანიზაციული ფორმა	საბიუჯეტო ორგანიზაცია
	დაფინანსების წყარო	მუნიციპალური ბიუჯეტი
6	ანგარიშგების ტიპი	
7	ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური
8	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი	31.12.2024წ. 01.01.2024 - 31.12.2024
9	ერთულსების მომწველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)	1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი 2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი 3. ა.ა.ი.პ. კულტურისა და სპორტის ცენტრი - თეთრიწყარო 4. ა.ა.ი.პ. სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი - თეთრიწყარო 5. ა.ა.ი.პ. "საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ცენტრი" - თეთრიწყარო
10	პირდაპირი საქმიანობების ჩამონათვალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტების მომზადება, განხილვა და დამტკიცება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და სახანკო ტრანზაქციების წარმოება; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა; მუნიციპალური წარწერების მართვა; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრულ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; გარე ვაკუუმის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენა, გაუმწვანება, მოვლა, დაცვა და მასზე ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემა; ქალაქთაშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე ამ მიზნით იურიდიული პირების დაფუძნება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში; გარე რეკლამის განთავსების რეგულირება; სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა; ადგილობრივი თვითმმართველობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროსა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოყვანილო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება;
11	საანგარიშგებო ვალუტა	ლარი
12	დამრგვალების დონე	ერთეული
13	ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	თეთრიწყარო თამარ მეფის ქ. 34 599-95-47-05 safinanso11@yahoo.com

ხელმოწერა
ბუღალტერი:
ზიდა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა
უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ასეთის
არსებობის შემთხვევაში):
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



2024 წელი

პერიოდი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ნაერთი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შრომა
ორგანიზაცია

პროგრამული კოდი

ირინა ხოძე
შემსრულებელი

ბელმოწერა

გიორგი ნიკაშვილი
დირექტორი
შენი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა 1	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	5,571,449.50	7,005,468.56
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2a	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2a	33,623.39	33,275.39
004	მატერიალური მარაგები	N3	83,844.75	77,895.03
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	863,282.40	1,761,993.30
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		6,552,200.04	8,878,632.28
გრძელვადიანი აქტივები				
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	-	-
008	ძირითადი აქტივები	N6	152,818,830.26	144,768,795.90
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	1,000.00	-
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N10	-	-
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N11	8,246,013.32	5,017,231.64
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		161,065,843.58	149,786,027.54
015	სულ აქტივები		167,618,043.62	158,664,659.82
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	139,980.00	139,980.00
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N13a	69,567.43	115,590.61
019	გადასახდელი პროცენტი	N13a	-	-
020	მიმდინარე ანარიცხები	N13b	-	-
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13a	686.94	-
022	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით	N13a	68,247.70	59,205.70
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		278,482.07	314,776.31
გრძელვადიანი ვალდებულებები				
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
025	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	N12	21,123.00	256,580.00
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით	N10	-	-
027	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N9	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13b	-	-
029	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13a	-	-
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,123.00	256,580.00
031	სულ ვალდებულებები		299,605.07	571,356.31
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
032	საწესდებო კაპიტალი		-	-
033	გაუნაწილებელი ნაშთი/დეფიციტი		167,318,438.55	158,093,303.51
034	რეზერვები		-	-
035	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		167,318,438.55	158,093,303.51
036	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		167,618,043.62	158,664,659.82

1 მითითებულ შენიშვნებში აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დე ხელმოწერა

ბუღალტერი: 1. 

შიდა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



ფინანსური შედეგების ანგარიშგება

სტრ იქონ ის კოდ ი	დასახელება	შენიშვნა1	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტ ო სახსრები	სულ	სულ
შემოსავლები						
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	19,213,057.94	-	19,213,057.94	17,398,342.80
002	სოციალური შენატანები		-	-	-	-
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	N14 გ	532,065.64	-	532,065.64	595,594.26
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	8,187,813.73	99,481.59	8,287,295.32	5,455,807.88
005	ტრანსფერები და სხვა არაკლასი	N14გ N15ა	1,262,804.64	52,803.50	1,315,608.14	323,988.10
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 გ	-	-	-	-
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტებისა და დივიდენდებისა	N15ა	3,336,471.34	8,415.00	3,344,886.34	3,710,500.08
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდ	N15ბ N17ა2	1,598,400.01	-	1,598,400.01	1,221,352.69
009	საპროცენტო შემოსავლები	N15ა	580,516.97	-	580,516.97	936,984.52
010	გაუფასურების უკუგატარებით	N16	-	-	-	-
011	სხვადასხვა შემოსავლები	N18	-	-	-	-
012	სულ შემოსავლები		34,711,130.27	160,700.09	34,871,830.36	29,642,570.33
ხარჯები						
013	შრომის ანაზღაურება	N17ა	9,494,440.06	14,781.00	9,509,221.06	8,229,212.87
014	საქონელი და მომსახურება	N17ა	5,765,917.92	96,628.05	5,862,545.97	4,552,925.68
015	გრანტები	N17ბ	1,467,299.15	-	1,467,299.15	57,262.00
016	სუბსიდიები	N17გ	5,613,706.15	-	5,613,706.15	3,922,333.62
017	ტრანსფერები და სხვა არაკლასი	N17ა	512,026.61	8,400.00	520,426.61	903,685.42
018	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	N17ა	-	-	-	-

019	ცვეთა და ამორტიზაცია	N17ა	634,629.74	575.82	635,205.56	59,933.93
020	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	N17ა	1,004,140.82	-	1,004,140.82	742,040.74
021	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	N15ბ N17ა**	-	-	-	-
022	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური)	N17ა	34,398.00	-	34,398.00	62,438.00
023	გაუფასურების ხარჯები	N16	999,752.00	-	999,752.00	-
024	სხვადასხვა ხარჯები	N18	-	-	-	-
025	სულ ხარჯები		25,526,310.45	120,384.87	25,646,695.32	18,529,832.26
026	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		9,184,819.82	40,315.22	9,225,135.04	11,112,738.07

1 მითითებულ შენიშვნებში აისახება ფინანსური შედეგების ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფო

2 აისახება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა

ხელმოწერა

ბუღალტერი: *ა. ჯიქია*

შიდა პოლიტიკით

განსაზღვრული სხვა

უფლებამოსილი პირ(ებ)ი

(ასეთის არსებობის

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: *ა. ჯიქია*



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*

სტრუქტურის კოდ	დასახელება	შენიშვნა **	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან								
001	შემოსული თანხები		31,942,314.20	81,218.50	32,023,532.70	28,307,724.57	12,204.60	28,319,929.17
002	გადასახადები	N19	19,213,057.94	-	19,213,057.94	17,398,342.80	-	17,398,342.80
003	სოციალური შენატანები		-	-	-	-	-	-
004	გრანტები		8,137,753.73	20,000.00	8,157,753.73	5,370,763.15	-	5,370,763.15
005	შემოსავლები საკუთრებიდან		3,787,144.08	-	3,787,144.08	4,579,635.06	-	4,579,635.06
006	მ.შ.პ. პროცენტი		580,516.97	-	580,516.97	936,984.52	-	936,984.52
007	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		130,183.17	8,415.00	138,598.17	39,357.37	10,786.00	50,143.37
008	სანქციები, საურავები და ჯარიმები		532,065.64	-	532,065.64	595,594.26	-	595,594.26
009	სხვა შემოსავლები		133,067.64	52,803.50	185,871.14	321,278.50	1,418.60	322,697.10
010	დროებით გაურკვეველი თანხები		9,042.00	-	9,042.00	2,753.43	-	2,753.43
011	გასული თანხები		22,485,838.93	69,033.39	22,554,872.32	18,196,559.46	8,544.57	18,205,104.03
012	თანამშრომლების შრომის ანაზღაურება		4,441,438.45	14,781.00	4,456,219.45	4,149,437.66	7,620.00	4,157,057.66
013	მოწოდებლებისათვის გადახდილი თანხები		3,672,706.75	45,852.39	3,718,559.14	3,052,440.92	924.57	3,053,365.49
014	გრანტები და სუბსიდიები		12,857,731.63	-	12,857,731.63	9,352,394.96	-	9,352,394.96
015	სოციალური დახმარება		971,392.49	-	971,392.49	723,547.50	-	723,547.50
016	გადახდილი პროცენტი		34,398.00	-	34,398.00	62,438.00	-	62,438.00
017	სხვა ხარჯები (გაცემები, გასვლები)		508,171.61	8,400.00	516,571.61	856,300.42	-	856,300.42
018	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	N20	9,456,475.27	12,185.11	9,468,660.38	10,111,165.11	3,660.03	10,114,825.14
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან								
019	ძირითადი აქტივების შესყიდვა		13,312,265.45	9,900.00	13,322,165.45	12,761,342.73	-	12,761,342.73
020	არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	-	-	-	-	-
021	სხვა გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა		-	-	-	-	-	-
022	ინვესტიციების (წილების) შესყიდვა		-	-	-	-	-	-
023	ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		-	-	-	-	-	-
024	გაღებული სესხები		-	-	-	-	-	-
025	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ზრდა		-	-	-	-	-	-
026	ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		2,654,943.01	-	2,654,943.01	1,221,352.69	-	1,221,352.69
027	არამატერიალური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		-	-	-	-	-	-
028	სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		-	-	-	-	-	-
029	ინვესტიციების (წილების) გაყიდვებიდან მიღებული თანხები		-	-	-	-	-	-
030	ფასიანი ქაღალდების გაყიდვა		-	-	-	-	-	-
031	ფინანსური იჯარისგან მიღებული ძირითადი თანხები		-	-	-	-	-	-
032	სესხების დაფარვიდან მიღებული თანხები		-	-	-	-	-	-
033	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების კლება		-	-	-	-	-	-
034	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		- 10,657,322.44	- 9,900.00	- 10,667,222.44	- 11,539,990.04	-	- 11,539,990.04
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან								
034	მთავრობის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების		-	-	-	-	-	-
035	მთავრობის ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული თანხები		-	-	-	-	-	-
036	უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული თანხები		-	-	-	-	-	-
037	სხვა ნასესხები თანხებიდან მიღებული თანხები		-	-	-	-	-	-
038	მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდების		-	-	-	-	-	-
039	სამთავრობო ობლიგაციების გამოსყიდვა (დაფარვა)		-	-	-	-	-	-
040	უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა (დაფარვა)		-	-	-	-	-	-
041	ფინანსური იჯარის ძირითადი თანხის გადახდა (დაფარვა)		-	-	-	-	-	-
042	სხვა ნასესხები თანხების გადახდა (დაფარვა)		235,457.00	-	235,457.00	216,804.00	-	216,804.00
043	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით		-	-	-	-	-	-
044	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით		-	-	-	-	-	-
045	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით		-	-	-	-	-	-
046	დამზღუდვის სარეზერვო ქვეანგარიში		-	-	-	-	-	-
047	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		- 235,457.00	-	- 235,457.00	- 216,804.00	-	- 216,804.00
048	ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		- 1,436,304.17	2,285.11	- 1,434,019.06	- 1,645,628.93	3,660.03	- 1,641,968.90

049	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში, მათ შორის	6,995,986.71	9,471.84	7,005,458.55	8,641,615.64	5,811.81	8,647,427.45
050	ხაზინის ერთიანი ანგარიში, ფულადი სახსრები საღარიბოში და აომიერილო	6,995,986.71	9,471.84	7,005,458.55	8,641,615.64	5,811.81	8,647,427.45
051	ხაზინის სავალუტო ანგარიში	-	-	-	-	-	-
052	3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები	-	-	-	-	-	-
053	კურსთა სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)	-	-	-	-	-	-
054	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს, მათ შორის	5,559,682.54	11,756.95	5,571,439.49	6,995,986.71	9,471.84	7,005,458.55
055	ხაზინის ერთიანი ანგარიში, ფულადი სახსრები საღარიბოში და კომერციულ ბანკებში ანგარიშები	5,559,682.54	11,756.95	5,571,439.49	6,995,986.71	9,471.84	7,005,458.55
056	ხაზინის სავალუტო ანგარიში	-	-	-	-	-	-
057	3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები	-	-	-	-	-	-

** მითითებულ შენიშვნებში აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური

ხელმოწერა

ბუღალტერი:

შიდა პოლიტიკით
განსაზღვრული სხვა
უფლებამოსილი პირ(ებ)ი
(ასეთის არსებობის
შემთხვევაში):

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



საანგარიშგებო პერიოდი

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა1	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები		
001	საწყისი ნაშთი		-	150,626,884.79	48,554.30	-	150,675,439.09
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული დათანაზარიშობა	N1	-	7,417,864.42	-	-	7,417,864.42
004	კორექტირებელი ერთჯერადი გადაფასების შედეგად	N1	-	-	-	-	-
005	კორექტირებელი კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1	-	-	-	-	-
006	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	158,044,749.21	48,554.30	-	158,093,303.51
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება							
007	კაპიტალში შენატანები		-	-	-	-	-
008	კაპიტალის ამოღება		-	-	-	-	-
009	რეზერვების ზრდა/კლება	N5	-	-	-	-	-
010	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	9,184,819.82	40,315.22	-	9,225,135.04
011	მესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები		-	-	-	-	-
012	საბოლოო ნაშთი		-	167,229,569.03	88,869.52	-	167,318,438.55

წინა საანგარიშგებო პერიოდი

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა 1	საწესდებო	გაუნაწილებელი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო	არასაბიუჯეტო		
001	საწყისი ნაშთი		-	136,686,875.83	56,069.11	-	136,742,944.94
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი	N1	-	2,819,756.08	-	-	2,819,756.08
004	კორექტირებელი ერთჯერადი გადაფასების შედეგად	N1	-	-	-	-	-
005	კორექტირებელი კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1	-	-	-	-	-
006	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	139,506,631.91	56,069.11	-	139,562,701.02
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება							
007	კაპიტალში შენატანები		-	-	-	-	-
008	კაპიტალის ამოღება		-	-	-	-	-
009	რეზერვების ზრდა/კლება	N5	-	-	-	-	-
010	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	11,120,252.88	7,514.81	-	11,112,738.07
011	მესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები		-	-	-	-	-
012	საბოლოო ნაშთი		-	150,626,884.79	48,554.30	-	150,675,439.09

1 მითითებულ შენიშვნაში აისახება წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია

ხელმოწერა

ბუღალტერი: *[Handwritten Signature]*

შიდა პოლიტიკით

განსაზღვრული სხვა

უფლებამოსილი პირ(ებ)ი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდი

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა *	დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება	შესრულება (%)
ბიუჯეტის შემოსულობები						
001	გადასახადები		18,491,200.00	18,491,200.00	19,213,057.94	103.90
002	გრანტები		8,532,800.00	8,532,800.00	8,137,753.73	95.37
003	სხვა შემოსავლები		4,512,500.00	4,512,500.00	4,582,460.53	101.55
004	არაფინანსური აქტივების კლება		2,653,300.00	2,653,300.00	2,654,943.01	100.06
005	ფინანსური აქტივების კლება		6,996,000.00	6,996,000.00	-	-
006	ვალდებულებების ზრდა		-	-	-	-
007	სულ ბიუჯეტის შემოსულობები		41,185,800.00	41,185,800.00	34,588,215.21	83.98
ბიუჯეტის გადასახდელები						
008	შრომის ანაზღაურება		4,452,385.00	4,452,385.00	4,441,438.45	99.75
009	საქონელი და მომსახურება		4,071,672.23	4,071,672.23	3,672,706.75	90.20
010	პროცენტი		38,100.00	38,100.00	34,398.00	90.28
011	სუბსიდიები		13,339,186.00	13,339,186.00	12,832,731.63	96.20
012	გრანტები		25,000.00	25,000.00	25,000.00	100.00
013	სოციალური დახმარება		1,022,450.00	1,022,450.00	971,392.49	95.01
014	სხვა ხარჯები		1,483,420.01	1,483,420.01	508,171.61	34.26
015	არაფინანსური აქტივების ზრდა		17,625,130.23	17,625,130.23	13,312,265.45	75.53
016	ფინანსური აქტივების ზრდა		-	-	-	-
017	ვალდებულებების კლება		235,500.00	235,500.00	235,457.00	99.98
018	სულ ბიუჯეტის გადასახდელები		42,292,843.47	42,292,843.47	36,033,561.38	85.20
019	ბიუჯეტის ნაშთი	N21			5,559,682.54	

* მითითებულ შენიშვნაში აისახება ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მუხლები

ლმონწერა

ბუღალტერი: *ა. ბაქ*

შიდა პოლიტიკით

განსაზღვრული სხვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა N1 სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა განმარტებითი შენიშვნები

1	ინსტრუქციების და სტანდარტების ჩამონათვალი, რის შესაბამისადაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება; ასევე, სტანდარტების და ინსტრუქციების ის ჩანაწერები, რომელთა გათვალისწინება ვერ მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების/წარდგენის დროს; ასევე, ამ გადახრების გამოშვებული მიზეზები	
2	ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერილობები	
3	სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების აღწერილობა, რომლებიც აისახა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რესტროსპექტული გამოყენების სახით; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით ანალოგიური მონაცემები	
4	წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული ანალოგიური მონაცემები	
5	წინა პერიოდ(ებ)ის არარსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებაში	
6	არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ფინანსური შედეგის წინასწარ შეფასებასთან ერთად, ან შესაბამისი მიზეზების მითითებით, თუ რატომ ვერ მოხერხდა ფინანსური შედეგების წინასწარი განსაზღვრა	
7	ერთგვარადი გადაფასების შედეგად კაპიტალის კორექტირების აღწერილობები, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტულად, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან ერთად	
8	კაპიტალის სხვა კორექტირებების (ერთეულთა გაერთიანების და ა.შ შედეგად) აღწერილობები, რომლებიც გასწორდა რესტროსპექტულად, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან ერთად	

შენიშვნა N2 ფულადი სახსრები და ეკვივალენტები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

მიუთითეთ ფულადი სახსრების და ეკვივალენტების აღრიცხვისათვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები

სტრუქტურული კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში			
010	ხაზინის ერთიანი ანგარიში, მათ შორის	5,571,439.50	7,005,458.56
020	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
030	სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
040	სახელმწიფო ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
050	ავტონომიური რესპუბლიკების სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
060	ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
070	ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
080	მუნიციპალიტეტების სახსრები ეროვნულ ვალუტაში	5,503,191.79	6,946,252.85
090	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	5,491,434.84	6,936,781.01
100	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	11,756.95	9,471.84
110	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	68,247.71	59,205.71
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	-
130	ფულადი სახსრები საღარიბო ეროვნულ ვალუტაში 1	10.00	10.00
140	კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები ეროვნულ ვალუტაში 1	-	-
150	სულ ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	5,571,449.50	7,005,468.56
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში			
160	ხაზინის ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	-	-
170	ხაზინის სავალუტო ანგარიში	-	-
180	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	-	-
190	ფულადი სახსრები საღარიბო უცხოურ ვალუტაში 1	-	-
200	კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები უცხოურ ვალუტაში 1	-	-
210	სულ ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	-	-
ფულადი სახსრების ეკვივალენტები			
220	სახელმწიფო ხაზინის მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
230	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
240	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებისა და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
250	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
260	სულ ფულადი სახსრების ეკვივალენტები	-	-
270	სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	5,571,449.50	7,005,468.56

1 აისახება ორგანიზაციების ანგარიშგებებში ფულად სახსრებად ასახული თანხები

შენიშვნა N2ა მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები

სადარიცხო პოლიტიკები:

- ა) მიმდინარე ინვესტიციები განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის და წინა საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით
ბ)

სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი			წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი		
		მოლიანი საბალანსო ღირებულება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საძგვო მოთხოვნების ანარიცხები	საბალანსო ღირებულება	მოლიანი საბალანსო ღირებულება	აკუმულირებული გაუფასურებისზარალი/საძგვო მოთხოვნების ანარიცხები	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე ინვესტიციები							
010	მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-	-	-
020	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-	-	-	-	-
030	ფინანსური იჯაროდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი	-	-	-	-	-	-
040	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	-	-	-	-	-	-
050	სხვა მიმდინარე ინვესტიციები	-	-	-	-	-	-
060	სულ მიმდინარე ინვესტიციები	-	-	-	-	-	-
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები							
070	საზაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
080	ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
090	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული	-	-	-	-	-	-
100	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული	-	-	-	-	-	-
110	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული	-	-	-	-	-	-
